,,მთავარი არხის'' პოზიცია გაგი მოსიაშვილის განცხადებაზე

მიგვაჩნია, რომ გაგი მოსიაშვილის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ,,მთავარი არხის'' ჟურნალისტებს, ზურა პეტროსიანსა და დავით გვალიას არ დაურღვევიათ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები. სიუჟეტი შეეხებოდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს და ჟურნალისტებმა შეძლეს დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება მაყურებლისათვის, ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

<u>ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი:</u>

ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. გაშუქებიდან უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია.

მსჯელობას დავიწყებთ იმ გარემოებით, რომ სადავო სიუჟეტი შეეხებოდა მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმეს, გახმაურებულ ტრაგედიას, ახალგაზრდა ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმეს. მკვლელობის სისასტიკისა და გარდაცვლილი ახალგაზრდას პიროვნებიდან გამომდინარე, ქეისმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა მკვლელობის უკან ყოფილიყო შურისძიების მოტივი, დაკავშირებული გარდაცვლილის მამასთან და კაკულიების ოჯახთან. ასევე, სიუჟეტის ეთერში გასვლის დროისთვის სწორედ ეს იყო ბრალდების მთავარი ვერსია მკვლელობის საქმეზე. იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებაში საგამოძიებო ორგანოების მიმართ უნდობლობა და კითხვის ნიშნები მუდმივად არსებობს, მედიამ, როგორც მეოთხე ხელისუფლებამ, რომელსაც საზოგადოების ინფორმირების ფუნქცია აქვს ნაკისრი, ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, მოახდინა მკვლელობის სცენის რეკონსტრუქცია და ასევე, გამოითქვა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ მკვლელობის უკან.

მთელი სიუჟეტის მანძილზე ჟურნალისტი ზურა პეტროსიანი ხაზგასმით ამბობს, რომ გარდა გამოძიების ოფიციალური ვერსიისა, <u>მის მიერ გაჟღერებული ცნობები ეყრდნობა კონფიდენციალურ წყაროს,</u> რომელმაც მიაწოდა მედიასაშუალებას ინფორმაცია მკვლელობის დეტალების თაობაზე. სიუჟეტის განმავლობაში სამი სხვადასხვა წყაროზე კეთდება მითითება თუმცა, ინფორმაციის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთი წყარო ძალოვანი უწყების წარმომადგენელია, მედია საშუალება კონფიდენციალურად ტოვებს მათ ვინაობას.

სიუჟეტის ის ერთწუთიანი მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ოთარ ფარცხალაძეს შეეხება, იწყება ჟურნალისტის სიტყვებით: ,,მთავარი არხის ინფორმაციით, კაკულიების დაუსჯელობის სადარაჯოზე იდგა ყოფილი გენერალური პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე''. შესაბამისად, მაყურებლისთვის ნათელია, რომ ფარცხალაძის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია ეყრდნობა კონფიდენციალურ წყაროს. ეს არ არის მტკიცებითი ტონით წარმოთქმული, ფაქტის მტკიცება, არამედ იმ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის, რაც წყარომ შეატყობინა არხს, წყაროზევე მითითებით.

<u>მედია-საშუალებამ სცადა ამ ინფორმაციის გადამოწმება ოთარ ფარცხალაძესთან.</u> რაც საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან ყოფილი გენერელური პროკურორი კომუნიკაციაზე არ გამოდის მედია-საშუალებებთან. უცნობია მისი ტელეფონის ნომერი. მედიის ხელთ არსებული ერთადერთი საშუალება იყო ფარცხალაძის სახლთან მისვლა და მასთან პირადად დაკავშირება. რაც ჟურნალისტმა გააკეთა-კიდეც და ნათლად ჩანს მისი ეს მცდელობა ჩაეწერა კომენტარი. ფორმალურად მიდის თუ არა ჟურნალისტი ფარცხალაძესთან, ეს განცხადების ავტორის სუბიექტური შეფასებაა, სპეკულაციაა, რომელსაც ფაქტობრივი საფუძველი არ აქვს. ფაქტი

ცხადია, იყო მცდელობა დაკავშირების, თუმცა ოთარ ფარცხალაძე კონტაქტზე არ გამოსულა. ჟურნალისტებისათვის არ იყო ცნობილი იმის თაობაზე, რომ გაგი მოსიაშვილი, განცხადების ავტორი იყო ოთარ ფარცხალაძის ადვოკატი. გაუგებარია როგორ უნდა დაეკავშირებინა მედია-საშუალების წარმომადგენელს ეს ორი პიროვნება ერთმანეთთან და რატომ უნდა მიემართა ჟურნალისტს განცხადების ავტორისთვის კომენტარით.

იმ პირობებში, როდესაც საქმე აქტუალური იყო და დღე-დღეზე უნდა დაეკავებინათ სავარაუდო ბრალდებულები ნიკა კვარაცხელიას საქმეზე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა დროულად შეეტყო მაყურებელს საქმის სავარაუდო ფიგურანტების და მათი შესაძლო მფარველების თაობაზე. მიგვაჩნია, რომ ოთარ ფარცხალაძის თაობაზე გაჟღერებული ინფორმაციის გავრცელების ლეგიტიმური ინტერესი არსებობდა, რომელიც მედია-საშუალებამ დააკმაყოფილა ეთიკის სტანდარტების დაცვით.

<u>ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-5 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი:</u>

ქარტიის მე-5 პრინციპი უწესებს ჟურნალისტს ვალდებულებას შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეყავს საზოგადოება.

ვადასტურებთ, რომ განმცხადებლის პრეტენზიების თაობაზე ჩვენთვის ცნობილი იყო, თუმცა საკუთარ წერილში მას არ მოუწოდებია დამატებით რაიმე ინფორმაცია სადავო სიუჟეტთან დაკავშირებით. წერილში მოთხოვნილ იქნა ინფორმაციის უარყოფა, მაგრამ ჩვენ არ მიგვიღია ინფორმაცია, რომელიც უარყოფდა გავრცელებულ ცნობებს და გააბათილებდა მათ. ერთადერთი, რაც ლოგიკურად ოთარ ფარცხალაძეს უნდა გაეკეთებინა, თუკი იგი ემიჯნებოდა გავრცელებულ ცნობებს, ეს იყო ჰქონდა მიმართვა მედიასაშუალებისთვის საეთერო დროის გამოყოფის საკითხზე დამატებითი კომენტარისთვის, რაც არ მომხდარა. ინფორმაციის ჩასწორება კი, ამ სიტუაციაში სრულიად არაგონივრულია, ვინაიდან არ დასტუდება ინფორმაციის მცდარობა.

შესაბამისად, ქარტიის მე-5 პრინციპი არ დარღვეულა, ვინაიდან ვერ დასტურდება, რომ გავრცელებული ინფორმაცია არსებითად მცდარი იყო. თანაც ინფორმაცია არ წარმოადგენდა ფაქტის მტკიცებას, არამედ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით გაჟღერდა.